1 ივნისი

ორშაბათი
2026

რიგითი IX კვირა [I], მწ

(19.V) წმ. ნინოს საქართველოში შემოსვლა, IVს, თ
წმ. იუსტინე, ფილოსოფოსი, წამებული,
+~165 რომში, (მ), წ

2პეტ 1,2-7; ფს 90; მარ 12,1-12

კახეთის ხიზაბავრის წმ. ნინოს
კათოლიკური ეკლესიის დღეობა

კაცმა ნაყარ ვაზი ტ იეგრით ძისკ მარ 12,1

იესო იხსენებს წინასწარმეტყველ ესაიას. ვენახის ჩამყრელი, ღმერთია, ვენახი კი მისი ერია, რომელიც მან ჩააბარა მთავრებს. ნაყოფი არასახარბიელოა, ამიტომ ღმერთმა რამე უნდა იღონოს. იესო თავისი მონათხრობით ამბობს, რომ მთავრები, ღმერთის ძღვენს, რომელიც ის თავად არის, არ ღებულობენ და ამიტომ არ უძღვებიან სწორად ხალხს, რის გამოც კურთხევა ვერ აღწევს სხვა ხალხებს. ამიტომ ერისმთავარნი უნდა შეიცვალონ.

2 ივნისი

სამშაბათი 2026

რიგითი IX კვირა [I], მწ

(20.V) წმ. ღირსნი ზაბულონი და წმ. სოსანა, წმ. ნინოს მშობლები (IVს.); / წმ. მარცელინე და წმ. პეტრე წამებულნი, +304 რომში

2პეტ 3,11ბ-15.17-18; ფს 89; მარ 12,13-17

რა კეისრისაა, მიაგეთ კეისარს მარ 12,17

ხაფანგს გიგებენ, იესო. მაგრამ შენი თვალები ყოველთვის მამისკენაა მიმართული და შენი გული ყოველთვის მის გულშია. შენი ურთიერთობიდან მამასთან ყოველთვის და მხოლოდ ჭეშმარიტება მოდის. ამიტომ, არ ვარდები ხაფანგში, არამედ პირიქით: შენი პასუხი იქნება სიბრძნე ყველასთვის. კაცი იმსახურებს ანაზღაურებას თავისი შრომისთვის და ღმერთი იმსახურებს, რომ ყოველთვის ფლობდეს ჩვენს გულსა და მთელ ჩვენს ცხოვრებას.

3 ივნისი

ოთხშაბათი

2026

რიგითი IX კვირა [I]

წმ. კარლო ლვანგა და მისი მეგობრები,
უგანდელი წამებულები, + 1886, (მ), წ

2ტიმ 1,1-3.6-12; ფს 122; მარ 12,18-27

ღმერთს არ მოუცია მორცხვობის სული 2ტიმ 1,7

მოწამეების ცხოვრება და სიკვდილი გვეხმარება ამ მოციქულის სიტყვების სერიოზულად აღქმაში. უგანდის ახალგაზრდა მოწამეებს, რომლებსაც დღეს ვიხსენიებთ, არ შეშინებიათ მტკიცედ და დარწმუნებით მოგყოლოდნენ შენ, იესო, და შენი სიყვარულის არჩიეს თავიანთი მეფის დაპირებებს.

4 ივნისი

ხუთშაბათი
2026

უწმიდესი ხორცი და სისხლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, «ა», დდ, [ს], თ
(ცალკეულ სამრევლოებში შეიძლება აღინიშნოს დამდეგ კვირადღეს)

რჯლ 8,2-3.14-16; ფს 147; 1კორ 10,16-17; იო 6,51-58

ვინცა ამ პურს ეზეგაჭამს, ს[illegible]-დ იცოცხლებს იო 6,58

პური, რომელსაც შენ გვიძღვნი, ჩვენამდე მოდის შენი სიტყვით. ეს პური, ამიტომ, არ არის პური, არამედ შენი სიცოცხლე. როდესაც მას ვჭამ, ვცხოვრობ შენთან, შენით, შენში: შენ ხდები ჩემი ცხოვრება. მე აღარ ვცხოვრობ, არამედ შენ ცხოვრობ ჩემში. გმადლობ, იესო!

5 ივნისი

პარასკევი

2026

რიგითი IX კვირა [I]

წმ. ბონიფაციუსი, მაინცის ეპისკოპოსი, წამებული, +754, (მ), წ

2ტიმ 3,10-16; ფს 118; მარ 12,35-37

როგორ ამბობენ, რომ ქრისტე ლევითის ძეა? მარ 12,35

შენ უპასუხე ყველა კითხვას, იმათაც კი, რომ-ლებსაც გისვამდნენ გამოსაჭერად. ახლა შენ სვამ კითხვას, მაგრამ ვერავინ გპასუხობს. ეს შენი კითხვა გამოავლენს, რომ შენი სიბრძნე უმაღლესია და შენი ცოდნა მიუწვდომელი. მაშინაც კი, როდესაც ადამიანები ჭეშმარიტე-ბას ამბობენ, ხშირად არ იციან, რატომ არის ეს ჭეშმარიტება!

6 შაბათი 2026

ივნისი

რიგითი IX კვირა [I], მწ

წმ. ნორბერტი, მაგდებურგის ეპისკოპოსი, პრემონსტრანტების დამაარსებელი, +1134

2ტიმ 4,1-8; ფს 70; მარ 12,38-44

ესენი ყველაფერი, რაც ჰქონდა მარ 12,44

იესო, უმნიშვნელო დეტალზე მიგვითითებ: უმნიშვნელო მათთვის, ვინც გულთამხილ-ველი არ არის, მაგრამ შენთვის, რომელიც ამ გულის ძირს ხედავ, ეს არის საოცარი დეტალი. ღარიბი ქალი, რომელიც გასცემს ყველაფერს, რაც გააჩნია, ღმერთისგან სწავ-ლობს, ღვთაებრივი სიცოცხლით ცხოვრობს. ღმერთი, ფაქტობრივად, გვაძლევს მთელ თავის სიყვარულს: უზარმაზარ სიმდიდრეს, რომელსაც ჩვენ ხშირად ვერ ვაფასებთ.

7 ივნისი

კვირა
2026

რიგითი X კვირადღე, «ა», [II], მწ

(ცალკეულ სამრევლოებში შეიძლება აღინიშნოს
უწმიდესი ხორცისა და სისხლის დიდდღესასწაული)

ოს 6, 3-6; ფს 49; რომ 4,18-25; მთ 9,9-13

მართლთ კი არა, ცოდვილთ მოსწყალე მოუდი მთ 9,13

ღმერთი ცოცხალ სიყვარულს მოელის, არა მსხვერპლს. მათე გაჰყვა ქრისტეს უპირობოდ, როგორც აბრაამმა ირწმუნა ყოველგვარი იმედის წინააღმდეგ. ღმერთი ცოდვილებს უხმობს, რათა განკურნოს ისინი. ჭეშმარიტი რწმენა ცხოველმყოფელია, როგორც დილის ნამი, როდესაც შემოვხვდებით ღმერთს, გავიცნობთ მას სიღრმისეულად და მოვბრუნდებით მისკენ მთელი არსებით, როგორც მზესუმზირა მიჰყვება მზეს.

8 ივნისი

ორშაბათი
2026

რიგითი X კვირა [II], მწ

3მეფ 17,1-6; ფს 120; მთ 5,1-12

ნეტარ არიან გულით სუფთნი მთ 5,8

დღეს ვიწყებთ მათეს სახარების მოსმენას ჩვეულებრივ დღეებშიც. ჩვენს საკვებად იესოს პირიდან გამომავალი წმიდა სიტყვებიდან, აი ეს: "ნეტარ არიან"! ანუ, ახლოს ვართ მამა ღმერთთან, როდესაც ჩვენი გული სუფთაა. და ის სუფთაა, როდესაც მასში არ არეულა ადვილი და ყოველდღიური თავკერძობანი. ჩემს გულში მხოლოდ შენ იქნები, იესო!

9 ივნისი

სამშაბათი 2026

რიგითი X კვირა [II], მწ

წმ. ეფრემ დიაკონი, ეკლესიის მოძღვარი, +373 ედესაში (ურფა, თურქეთი)
(27.V) წმ. ღ. ბასილ ბაგრატ III-ის ძე, XIს;
წმ. ღირსი მიქელ პარეხელი, VIII-IXსს.

3მეფ 17,7-16; ფს 4; მთ 5,13-16

ნახონ თქვენი კეთილი საქმენი მთ 5,16

იესომ იცის, რომ მისი მოწაფეები, ღარიბები, გულმოწყალენი, გულსუფთანი გულხელდაკრეფილნი არ დარჩებიან. მათი საქმეები სასურველი იქნება ღმერთისთვის და მაგალითი იქნება მრავლისთვის, რომლებიც, მათი სიკეთით მოხიბლულნი, მათ მიბაძავენ, გარდაქმნიან სამყაროს.

10 ოთხშაბათი 2026

ივნისი

რიგითი X კვირა [II], მწ

1მეფ 18,20-39; ფს 15; მთ 5,17-19

ვინცა მათ ტიკჭას, დიდი იქნება მთ 5,19

ღმერთის მცნებები ხდის ადამიანს, რომელიც მას ემორჩილება, გონიერს, გამჭრიახს, ნამდვილ საჩუქრად ყველასთვის. მისი მორჩილების წყალობით იზრდება ზეციერი სამეფო დედამიწაზე. და იგი სიყვარულსა და პატივისცემას მოიპოვებს ჩვენი მამისგან.

11 ივნისი

ხუთშაბათი
2026

რიგითი X კვირა [II]

წმ. ბარნაბა, მოციქული (მ) [ს] წ

საქმ 11,21ბ-26;13,1-3; ფს 97; მთ 10,7-13

უსასყიდლოდ მიგიღიათ, უსასყიდლოდ გაეცით მთ 10,8

მოციქული ბარნაბა, ძალზე პატივცემული და თავისი სიფრთხილითა და სიბრძნით წარმოდგენილი პირვანდელ ეკლესიაში, გვინათებს სახარების ამ სტრიქონს: მან გაყიდა თავისი ყანა და შემოსავალი შესწირა ეკლესიას. იესო მიავლენს თავის მოწაფეებს ქადაგებისა და განკურნებისთვის: მიუვლენს მათ ღარიბებს, დარწმუნებულებს მამის დახმარებაში. მამის სიყვარული უსასყიდლოა, ასევე მათი სიყვარულიც იქნება უსასყიდლო. ცა და დედამიწა გაერთიანდება ერთი და იგივე სიყვარულის ძალითა და შუქით.

12 ივნისი

პარასკევი
2026

იესოს ღმრთაებრივი გული, «ა», დდ, [ს], თ

წმ. გასპარე ბერტონი, სტიგმატელთა კონგრეგაციის დამაარსებელი, +1853, თ

რჯლ 7,6-11; ფს 102; 1იო 4,7-16; მთ 11,25-30

ხიზაბავრის (ასპინძა) კათოლიკური ეკლესიის დღეობა
სტიგმატელ მამათა დღესასწაული

ქე შეგიდი ჯ ქბალი ვარ გუ[illegible]ით მთ 11,29

იესოს ღვთიური გულის დღესასწაული გვახარებს მასში. მის სიღრმეებს თუ დავაკვირდებით, რას ვხედავთ? არა ამპარტავნებას, არც ამაოებას, მით უმეტეს არც პირველობის სულს. მთელი მისი არსება არის სახიერება და თავმდაბლობა. შეგვიძლია ვენდოთ მას და მის მზაობას ყოველთვის, ის ამის გამო არ გახდება პრეტენზიული და ამპარტავანი. ის ყოველთვის და სრულიად არის უანგარო ძღვენი.

13 ივნისი

შაბათი
2026

რიგითი X კვირა [II]

ნეტ. ქალწ. მარიამის უმანკო გული (მ), თ
წმ. ანტონ პადუელი, ხუცესი,
პორტუგალიელი ფრანცისკელი,
ეკლესიის მოძღვარი, +1231 პადუაში, (მ), თ

1მეფ 19,19-21; ფს 15; მთ 5,33-37

იესოს თქვენი სიტყვა: "ჰო-, ჰო-", "არა, არა" მთ 5,37

იცი, რატომ გვითხრა იესომ, რომ ვიყოთ უბრალონი, ჭეშმარიტნი და მოკლენი ლა-პარაკში? რადგან "დანამატი ბოროტისგან მოდის". როდესაც გვინდა ბევრის ან ნამეტა-ნის ახსნა, ვრისკავთ, რომ დავემორჩილოთ განსჯის, თავის მართლების, კვეხნის, სხვებზე უმაღლესად წარმოჩენის ცდუნებას.

14 ივნისი

კვირა
2026

რიგითი XI კვირადღე, «ა», [III], მწ

გამ 19,2-6ა; ფს 99; რომ 5,6-11; მთ 9,36 - 10,8

ეცოდა, რადგან ცრემლები ჰ ტანჯულები იყვნენ მთ 9,36

სანამ მოციქულებს დაადგენს, იესო აჩვენებს მათ, როგორ უნდა შეხვდნენ ადამიანებს, რომლებიც მასთან მოდიან. უნდა შეხედო მათ თანაგრძნობით, იცოდე, რომ ყველას სჭირდება დახმარება და არავის შეუძლია მისი გაწევა. სჭირდებათ განკურნება და განთავისუფლება ბოროტის გავლენისგან, და არა მსჯავრი. მოციქულები ათავისუფლებენ და განკურნავენ მათ იესოს სიტყვითა და ძალით.

15 ივნისი

ორშაბათი

2026

რიგითი XI კვირა [III], მწ

3მეფ 21,1ბ-16; ფს 5; მთ 5,38-42

ვინც სძოსილს ითხოვს ძოგვან, ძოსსცემიც ცაცანე მთ 5,40

როგორ ცხოვრობენ ცათა სასუფეველში? მასში ადათ-წესები განსხვავებულია ქვეყნიური სამეფოებისგან. მათი შესწავლა საჭიროა, არა თანდათან, არამედ სწრაფად, გადაჭრით. ვინც ბოროტებას სჩადის და მაძალადესავით იქცევა, აჩვენებ მამის სიყვარულს, რომელიც უკვე ქვეყანაზეა შენი მეშვეობით.

16 ივნისი

სამშაბათი
2026

რიგითი XI კვირა [III], მწ

3მეფ 21,17-29; ფს 50; მთ 5,43-48

ილოცეთ თქვენი მდევნელებისთვის მთ 5,44

რა არის ლოცვა? ლოცვა არის მამა ღმერთის წინაშე ყოფნა. თუ ვინმე გდევნის ან უსამართლოდ გექცევა, რას გააკეთებ? გააკეთებ იმას, რაც პატივს სცემს შენს მამას და მათ: ილოცებ მათთვის, რადგან მათ მოქცევა სჭირდებათ და მხოლოდ ღმერთს შეუძლია მისი მონიჭება.

17 ივნისი

ოთხშაბათი

2026

რიგითი XI კვირა [III], მწ

4მეფ 2,1.6-14; ფს 30; მთ 6,1-6.16-18

ეკლესიის ძაძაძერი ძოგაყრის მთ 6,18

კვლავ ვისმენთ იესოს სწავლებას მთაზე. ის ასწავლის როგორ შევიყვაროთ, როგორ ვილოცოთ და როგორ ვიმარხულოთ. ყველაფერი უნდა გაკეთდეს არა იმისთვის, რომ ვიყოთ კარგები და დამსახურებულნი, არამედ მამა ჩვენის სიყვარულისთვის, და ასევე ადამიანების თვალში კარგად გამოჩენის მცდელობის გარეშე.

18 ივნისი

ხუთშაბათი
2026

რიგითი XI კვირა [III], მწ

ზირ 48,1-14; ფს 96; მთ 6,7-15

მოვიდეს შენი სუფევა მთ 6,10

იესო ასწავლის ლოცვას. სხვა რამეებს შორის, გვთავაზობს ამ მოკლე სურვილით მივმართოთ მამას: "მოვიდეს შენი სუფევა". გავითავისოთ მისი საზრუნავი, რომ ამ დედამიწაზე ადამიანები ცხოვრობდნენ როგორც ძმები, მას მიყვებოდნენ, მეფეს, რომელსაც უყვარს ისინი ისე, რომ კვდება მათთვის.

19 ივნისი

პარასკევი
2026

რიგითი XI კვირა [III], მწ

წმ. რომუალდი, აბატი, კამალდოელების დამა-არსებელი, +1027 კამალდოლიში (იტალია)

2მეფ 11,1-4.9-18.20; ფს 131; მთ 6,19-23

სადაც შენი განძია, იქ იქნება შენი გული მთ 6,21

იესოს სურს, რომ ვიყოთ მდიდრები, რომ გვქონდეს განძი, ყველას. ვისაც განძი აქვს, მისკენ მიმართავს თავის ფიქრებს და თავის გრძნობებს. თუ ადამიანი მიეკვრება წარმავალ საგნებს, გარდავა მათთან ერთად და დარჩება ცარიელი და სიხარულის გარეშე. განძი, ამიტომ, უნდა იყოს ზეცაში, სადაც იგი დაცულია ყველა საფრთხისგან.

20 ივნისი

შაბათი
2026

2ნეშტ 24,17-25; ფს 88; მთ 6,24-34

ვერავინ ემსახურება ორ ბატონს მთ 6,24

იესო აგრძელებს გუშინდელ სწავლებას. თუ ფული გიყვარს, გახდები მისი მონა: უნდა იზრუნო მის გაზრდაზე, მის შენახვაზე. გახ-დები მომხვეჭელი, თუ არა უარესი, სხვების მჩაგვრელი. ხოლო თუკი უფალს ემსახურები, გაიხარებ დიდი თავისუფლებით, რადგან უფალს რომ ემსახურო, უნდა გიყვარდეს, ხოლო სიყვარულს ვერავინ აჯობებს.

21 ივნისი

კვირა 2026

რიგითი XII კვირადღე, «ა», [IV], მწ

[წმ. ალიოზ გონძაგა, იეზუიტი სტუდენტი, +1591 რომში, (მ), თ]

იერ 20,10-13; ფს 68; რომ 5,12-15; მთ 10,26-33

ნუ გეშინიათ: თქვენ ბევრ ბეღურაზე
ბევრად ქედს ფასობთ მთ 10,31

რა მშვენიერი გამოცხადებაა! მამა ჩვენი ზრუნავს ბეღურებზეც კი, მით უმეტეს ზრუნავს ჩვენზე, რომლებსაც გვიყვარს იგი და მას ვეამორჩილებით ცნობიერად! ამიტომ, მორწმუნეთა დევნის დროსაც კი, ნუ გვეშინია: გვყავს მამა, რომელიც ზრუნავს ჩვენზე.

22 ივნისი

ორშაბათი
2026

რიგითი XII კვირა [IV], მწ

წმ. პავლინი, ნოლას ეპისკოპოსი, +431; / წმ. იოანე ფიშერი, როჩესტერის ეპისკოპოსი და წმ. თომას მორი, ინგლისის კანცლერი, ლონდონში წამებულნი, +1535

4მეფ 17,5-8.13-15.18; ფს 59; მთ 7,1-5

ჯერ ამოიღე დიოე ძელი თვალიდნ მთ 7,5

მე ძალიან ადვილად განვსჯი სხვებს და ვივიწყებ, რომ თავად ცოდვილი ვარ. თუ ცოდვილი ვარ, ჩემი თვალი, ანუ ჩემი სხვების ხედვის საშუალება, არ არის სრულყოფილი: მაქვს თვალის ნაკლოვანებები! ჯერ უნდა გავათავისუფლო თვალები, ანუ გადაჭრით შევაკეთო ჩემი ხედვის საშუალება, შემდეგ შემეძლება მივუახლოვდე ყურადღებით ძმას, რომ დავეხმარო.

23 ივნისი

სამშაბათი
2026

რიგითი XII კვირა [IV], მწ

2მეფ 19,9-11.14-21.31-35.36; ფს 47; მთ 7,6.12-14

საღამოს – იოანე ნათლისმცემლის წინადღის წირვა:
იერ 1,4-10; ფს 70; 1პეტ 1,8-12; ლკ 1,5-17

შედით ვიწრო კარით მთ 7,13

ეს არის კარი, სადაც თითო-თითო შედიან. არ ვეძებ ვინმეს, ვისაც ავეკიდო, ჩავებღაუჭო. არჩევანი უფლის მიყოლისა პირადია. მე ვპასუხობ მას, როდესაც მიხმობს მისი მსახურებისთვის. არ ვუყურებ, რას აკეთებენ სხვები და არც ვინერვიულებ ბარგის გამო.

24 ივნისი

ოთხშაბათი
2026

წმ. იოანე ნათლისმცემლის შობა,
დდ, [ს], თ

ეს 49,1-6; ფს 138; საქმ 13,22-26; ლკ 1,57-66.80

ქებადება იოანე ლკ 1,60

ამ დღესასწაულის სახარებაში ვესწრებით ხშირ კამათს. რა სახელი მიეცეს ახალ დაბადებულ ბავშვს? ელისაბედი და ზაქარია არ ითვალისწინებენ ნათესავების გემოვნებას და არ ეძებენ საკუთარს: ემორჩილებიან ღმერთს. ბავშვს დაერქმევა სახელი, რომელიც ყოველთვის დიდებას უძღვნის ღმერთს. ღმერთი მოწყალეა, არის ის, რომელსაც უყვარს: ეს იქნება ბავშვის სახელი!

25 ივნისი

ხუთშაბათი

2026

რიგითი XII კვირა [IV], მწ

(12.VI) წმ. ღირსი ისიდორე სამთავნელი, მონაზონი, VIს;
წმ. იოანე-თორნიკე მთაწმიდელი, Xს

4მეფ 24,8-17; ფს 78; მთ 7,21-29



მთ 7,29

რასაც იესო ამბობს, არ საჭიროებს გამოცდას ან შემოწმებას. ეს არის ის, რითაც ცხოვრობს იგი, და ამიტომ მას უნდა ვუსმინოთ წინასწარ შექმნილი მოლოდინების გარეშე. რასაც იესო ამბობს არის ცხოვრებაში განხორციელებული სიცოცხლე, და ამიტომ არის მყარი სიტყვა. მისი სიტყვა შეიძლება დაედოს საფუძვლად ჩემი ცხოვრების არჩევანს. არცერთი მოულოდნელობა არ დამამხობს.

26 ივნისი

პარასკევი
2026

რიგითი XII კვირა [IV], მწ

წმ. ვიგილიუსი ეპისკოპოსი და მოწამე, † 400, ტრიდენტის ეპარქიის მფარველი

4მეფ 25,1-12; ფს 136; მთ 8,1-4

ანიჭინდე! მთ 8,3

იერუსალიმის ნანგრევებიდან კეთროვანის განკურნებამდე: ღმერთი არასოდეს გვტოვებს. ტაძარი ინგრევა, მაგრამ მისი ერთგულება რჩება. კეთროვანი გაბედულად უახლოვდება: "თუ გინდა, შეგიძლია განმკურნო". და იესო ეხება მას. სადაც კაცობრიობის ისტორია ეცემა, სადაც ყველაფერი დაკარგულად ჩანს, იქ ღმერთი მოდის და თავიდან იწყებს!

27 ივნისი

შაბათი

2026

რიგითი XII კვირა [IV], მწ

წმ. კირილე, ალექსანდრიის ეპისკოპოსი, ეკლესიის მოძღვარი, +444

გოდ 2,2.10-14.18-19; ფს 73; მთ 8,5-17

მოვალ ჴ განვკურნავ მას მთ 8,7

თუმცა ასისთავი წარმართი იყო, იესო მზად არის შევიდეს მის სახლში. ვისაც სწამს იგი, აღარ არის წარმართი! ღმერთის სიყვარულს საზღვრები არ აქვს! განისჯება და დაისა-ჯება იუდეველთაგან, მაგრამ მას სურს, რომ ყველამ გაიცნოს ღმერთი როგორც მამა, მამილო, რომელიც არავის მიატოვებს და ყველას სურს მისცეს იმედი.

28 ივნისი

კვირა
2026

რიგითი XIII კვირადღე, «ა», [I], მწ

[წმ. ირენეოსი, ლიონის ეპისკოპოსი და წამებული, +~202, (მ), წ]

2მეფ 4,8-11.14-16; ფს 88; რომ 6,3-4.8-11; მთ 10,37-42

საღამოს – წმ. პეტრესა და წმ. პავლეს წინადღის წირვა: საქმე 3,1-10; ფს 18ა; გალ 1,11-20; იო 21,15-19

არ ტყეარგ�ba თვისი ეჯილო. მთ 10,42

არსებობენ ისინი, ვინც არც კი გიცნობს, იესო, მაგრამ მაინც უყვართ და მცირე თუ დიდ სიკეთეებს უკეთებენ შენს მოწაფეებს, აღიარებენ მათი სიყვარულის ჭეშმარიტებას. შენ ხედავ ამ ხალხს, შენი სასუფევლის მოქმედ წევრებად და ამიტომ იწონებ და დააჯილდოებ მათ.

29 ივნისი

ორშაბათი
2026

წმ. პეტრე და წმ. პავლე
მოციქულნი დდ, [ს], წ

საქ 12,1-11; ფს 33; 2ტიმ 4,6-8.17-18; მთ 16,13-19

თბილისის წმ. პეტრესა და პავლეს კათოლიკური ეკლესიის დღეობა. შესაწირავი პაპისათვის.

შენ მოგცემ ცაჲ სასუფevლის გასაღებებსა მთ 16,19

რა ლამაზი დაპირებაა! როდესაც შენ, იესო, წახვედი ამ სამყაროდან, არ წაგიღია თან სამეფოს გასაღებები: ისინი აქ დარჩნენ, პეტრეს ხელთ. რატომ მასთან? რადგან მამა იცავს მის რწმენას, ანუ მის ურთიერთობას შენთან, ხდის მას ჭეშმარიტს, ძლიერს, კლდესავით მტკიცედ, და უსაფრთხოს სხვებისთვისაც, ჩვენთვის, ვისაც გვსურს შევიდეთ მომავალ სამეფოში.

30 ივნისი

სამშაბათი
2026

რომის ეკლესიის წმიდა პირველმოწამენი, +64,
წმ. შალვა ახალციხელი, +1227

ამ 3,1-8; 4,11-12; ფს 5; მთ 8,23-27

ეკრძას ქინა მთ 8,24

მხოლოდ ამ ერთხელ მახარებელნი გვიყვებიან შენს ძილზე, იესო. ჩვენი აზრით, ამ დროს არ უნდა გეძინოს. არადა, ამ შენი ძილის წყალობით, ჩვენ ვსწავლობთ, რომ ყოველი მომენტი სწორია, შენია. ვსწავლობთ, რომ გენდობოდეთ და მყარი იმედი გვქონდეს შენი, ყოველთვის, მაშინაც კი, როდესაც ვერ გხედავთ და მაშინაც კი, როდესაც გვეჩვენება, რომ აქ არა ხარ.